# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 10 კ. პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 10 კ. უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.



მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე

## „საქართველო"

1917 წ. წელიწადი მესამე

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:

ავ. აბესაძე, ი. აბულაძე, დ. არონიშიძე, ა. ასათიანი, ალ. ახმეტელი, ვ. ბარნოვი, ეკ. გაბაშვილისა, | რ. გაბაშვილი, განდეგილი, გ. გვაზავა, ს. გორგაძე, გ. გორდეზიანი, ვ. გუნია, შალვა დადიანი, | ზ. ედილი, ი. ვართაგავა, გრ. ვეშაპელი, ეჭ. თაყაიშვილი, ინ-ბანი, პ. ინგოროყვა, ჩ. კაპანაძე, | პოლ. კარბელაშვილი, დ. გ. კარიჭაშვილი, დ. კასრაძე, დ. კახელი, ს. კედია, დეკ. ქ. კეკელიძე, ნ. კურდღელაშვილი, | Legatus, ეპისკოპოსი ლეონიდე, იას. ლორთქიფანიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. მარგველაშვილი, კ. მაყაშვილი, ი. მაჭავარიანი, დუტუ მეგრელი, | მელანია, შ. მღვიმელი, ნიკო ნიკოლაძე, გ. ჟორდანია, გრ. რობაქიძე, თედო სახოკია, ტ. ტაბიძე, ი. ფერაძე, | შ. ქარუმიძე, ს. ქვარიანი, გ. ქიქოძე, ნ. ყიფიანისა, სვ. ყიფიანი, გ. ყიფშიძე, მიხ. შალამბერიძე, ვ. შალიკაშვილი, | პროფ. ა. ცაგარელი, აპ. წულაძე, დ. ჭიაბრიშვილი, ზ. ჭიჭინაძე, სტეფ. ჭრელაშვილი, მ. ჯანაშვილი, ლ. ჯაფარიძე, სამხედრო მიმ. ბ-ნი X.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. სალ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო".

მიიღება ხელის მოწერა



შალვა ქართველიშვილი აუწყებს მეგობართ, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 21 ქრისტეშობისთვეს მისის საყვარელ დედის

### ელისაბედ გიორგის ასულის ქართველიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

დასაწყისი წირვისა დილ. 10 საათზე, პანაშვიდისა—12 საათზე.

(1—440—1)

### საარტისტო საზოგადოების თეატრი

დღეს, 20 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება

### შოკოლადის პატარა გამკეთებელი
(ანუ ცუგრუმელა გოგონა)

ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოთ

(1—439—1) დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში გამოვა

სამხატვრო-სალიტერატურო კრებული

### საფირონი

კრებულში მონაწილეობას იღებენ:

ალ. ახმეტელი, ბაბილინა, განდეგილი, შალვა დადიანი, მოსე თოიძე, თ. იანელი, ინ-ბანი, დ. კასრაძე, | გ. ლეონიძე, კ. მაყაშვილი, შიო მღვიმელი, გ. მუმლაძე, ნარკანი, აკაკი პაპავა, ტრ. რამიშვილი, ს. ფაშალიშვილი, | ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, ვალ. შალიკაშვილი, ლელი ჯაფარიძე, მ. ჭიაურელი, და სხვ.

მისამართი: თბილისი. ნიკოლოზის ქ. № 7. სანდრო შანშიაშვილს.

პროვინციის აგენტებმა წინდაწინვე უნდა გვაცნობონ, თუ რამდენ ეგზემპლიარს გაიწერენ.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ლეონიძე.

### საბურთალოზე
(საგამაშვილო თხინვალის აგარაკი)

### სამოსახლოების მყიდველთა საყურადღებოთ

ჩვენ დავსჭერით და გავჰყიდეთ ადგილები, ძლიერ იაფად საბურთალოზე რადგანაც ამის გვაიძულებდა გარემოება... მაგრამ მიუხედავათ ამისა, ხვედრი ფული მაინც თავ-თავის ვადაზე არ შემოდის, ამისათვის ერთხელ და უკანასკნელად კიდევ ვაცხადებთ საყოველთაოთ, ვინც მთელი სამოსახლოს ღირებულობის ათი თ..ის ხვედრს შემოსატანს ფულს არ წარმოადგენს, ამ 1917 წლის პირველ იანვრამდინ, მათ ადგილის დასაკვეთად შემოტანილი ბეიც აღარ დაუბრუნდებათ და დაკვეთილი სამოსახლო ადგილებიც აუცილებლად ჩამოერთმევათ და სხვა პირებზედ დაიყიდება.

ამასთანავე ვაცხადებთ, ვისაც სამოსახლოების შეძენა სურს საბურთალოზედ, 1917 წლის პირველ იანვრიდან მობრძანდენ იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა № 5 წიგნის მაღაზია „ცოდნა" და შეიძინონ დატოვებული ადგილები.

ივანე ზაალის ძე სვანიშვილი, იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე და სევასტი მიხეილის ძე გაჩეჩილაძე.

(10—418—8)

### ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

სამშაბათს, 20 ქრისტეშობისთვეს,

### სინემატოგრაფი
### სიმფონიანი ორკესტრი

კონცერტზე შესვლა უფასოა ✦ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

(1—313—1)

გამოცემა „ამხანაგობისა"

გამოვიდა ჲ იყიდება ყველგან

### „ბედი ქართლისა" ნიკ. ბარათაშვილის
სრული ფაქსიმილე

ფასი ერთი მანეთი.



წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).

ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванкская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

### ვექებ ოთახს

ერთს, ან ორს საჭირო მოწყობილებით. გთხოვთ მოაკითხოთ „საქართველოს" რედაქციაში.

(5-308-2)

ექიმი

### ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოხკოვის ხაზაზინო ხაავადმყოფოს უოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914" და „606" შეშხაპუნება

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

### კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი

### მ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე; ზელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

### ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმმა

### გ. გ. მუხაძემ

მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 28 ქრისტეშობისთვემდის.

ექიმი

### კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი

### მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ქ. თბილისში დაარსდა

### მელნის ქარხანა
### „ალაროდია"

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს, ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.

ლაზარეთებს ჲ სამხედრო დაწესებულებათ შეღავათიით დაეთმობათ.

მელანი პირის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება ადგილობრივ თუ გაგზავნით.

საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.

**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია".

(თ.—228—თ.)


### ორგვარი ხარკი

ალ—ანი.

## გერმანეთის პირობები

გერმანეთმა რომ ზავის წინადადებით მიჰმართა მოკავშირეთ, თავისი პირობები არ გამოუქვეყნებია; არც ამერიკის პრეზიდენტის მომრიგებელ-შუამავლობა ყოფილა საკმარი. გერმანეთი ამბობს: ჯერ კონფერენცია მოვაწყოთ და შემდეგ პირობებსაც დავასახელებო.

როგორი იქნება გერმანეთის ოფიციალი პირობები, ჯერ არავინ იცის... მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ გერმანელთა დიპლომატია ჩვეულებრივად გულხახვეული არ არის და მტრის გულის მოსაკლავად და მოყვრის გასახარებლად წ ნ-და წინ იცის თავის წადილის განცხადება,—ოფიციალი თუ არა, ოფიციოზური ცნობები ახლაც ვიცით, როგორც მაქსიმუმი, ისე მინიმუმი.

მინიმუმი—ეს ის პროგრამაა, რომელიც ამ ერთ წლის წინად, ნაშობევს, გამოქვეყნდა ციურიხის „ნეუე ცაიტუნგში“, და რომელიც შემდეგ თვით ვოლფის სააგენტომ გადასცა ბერლინის გაზეთებს, როგორც გერმანეთის მმართველ წრეების აზრი... სამაქსიმუმო პროგრამას კი იმ მანიფესტში ვპოულობთ, რომლითაც მიჰმართეს თანამემამულეთ გერმანელთა პოლიტიკურ და ეკონომიურ დაწესებულებათა ისეთმა გამოჩენილმა ხელმძღვანელებმა, როგორიც არიან: ბავარიის მიწადმომქმედთა კავშირის თავმჯდომარე ბეკი, ბაირეტის მოურავი კასელმანი, ნაციონალ-ლიბერალთა და აგრარიების ხელმძღვანელები და პროფესორები კერშენშტეინერი, კრეპელინი და სხვანი.

შესადარებლად მოგვყავს პარალელად—გასწვრივ მინიმუმის და მაქსიმუმის შესაფერი მუხლები (იხ. „რუსკ. ვედომ.“ № 179 და 299).

**ბელგეთი:** მინიმუმ პირობის მიხედვით იგი დამოუკიდებელი დარჩება; მხოლოდ მან უნდა უზრუნველჰყოს, ან ხელშეკრულობით, ან რაიმე გირაოთი, რომ „1914 წლის ამბები“ აღარ განმეორდება, და აგრეთვე უნდა იხადოს ყოველწლივ იმოდენა ხარკი—კონტრიბუცია, რამოდენიც იყო მისი სამხედრო ბიუჯეტი ომამდის; გერმანეთი საპოლიციო უფლებას დაიტოვებს ბელგეთში, სანამ ეს უკანასკნელი ამ ხარკს გადიხდიდეს.

მაქსიმუმი პირობა კი ასეთია: რადგან ბელგეთი ფაქტიურად ფრანგ-ინგლისელთა პროვინციადაა გადაქცეული, გერმანეთს უნდა მიენიჭოს უფლება ყოველსავე სამხედრო, სახმელეთო ან საზღვაო ღონისძიებათა მიღებისა, ბელგეთის მხრივ მტერი რომ მოულოდნელად თავს არ დაეცეს... ბელგეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა უნდა გადაეცეს გერმანეთს; თუ აქამდის ბელგეთის ნეიტრალიტეტისათვის ხუთი დიდი სახელმწიფო ზრუნავდა, დღეის იქით ბელგეთის მზრუნველობა (Yormundschaft) მარტო გერმანეთს მიეკუთვნება. გერმანეთი მოითხოვს, აგრეთვე, რომ დაჯაბნილ ფლამანდელთა ეროვნული უფლებანი აღდგენილ იქმნასო.

**საფრანგეთი.** მინიმუმის მიხედვით, გერმანეთი დაუბრუნებს მას ყველა დაპყრობილ ოლქებს და არ მოსთხოვს არც კონტრიბუციის გადახდას და აღარც კოლონიების დათმობას. მაგრამ, სამაგიეროდ, საფრანგეთმა უნდა დაუთმოს გერმანეთს მთელი ის ვალი, რომელიც ნასესხები აქვს რუსეთს ომამდის და ომის დროსაც; ასე, რომ ამ ვალის სარგებელი რუსეთმა გერმანელებს უნდა აძლიოს და არა ფრანგებსო.

მაქსიმუმი უფრო მოკლეა, მაგრამ მრავალმეტყველი: გერმანეთმა უნდა მოიპოვოს საფრანგეთის მხრივ საუკეთესო, ხელსაყრელი საზღვარი და უნდა ჩამოსჭრას თავისათვის რკინის მადნიანი ადგილები, საზღვარს ახლო რომ არისო.

**ინგლისი.** მინიმუმის მიხედვით მან უნდა დააბრუნოს, რაც კი გერმანელთა კოლონიები წაიღო ამ ომის დროს.

მაქსიმუმი კი ამბობს: გერმანეთმა უნდა გააუმჯობესოს თავისი სამხედრო მდგომარეობა და ამისათვის უნდა შეიძინოს საზღვაო და საჰაერო გემებისათვის საჭირო სადგურები ინგლისის ნაპირთან და აგრეთვე სხვაგან, ინგლისის ზღვაზედ ბატონობას რომ წინააღუდგესო.

**ბულგარეთზედ** მაქსიმუმი არას ამბობს, მინიმუმით კი მან უნდა წაიღოს სერბეთის მაკედონია და ის ავსტრიაში გასასვლელი (კორიდორი) ტალანი დუნაეს და ნიშ-სემენდრიას რკინის გზის შუა მდებარე;

ამავე მინიმუმის მიხედვით იტალეთმა უნდა დაუბრუნოს ოსმალეთს არქიპელაგის კუნძულები, როდოსი და დანარჩენი დოდეკანიზი.

ალბანეთი კი კვლავ დამოუკიდებელ სამთავროდ უნდა იქმნას აღიარებული.

**რუსეთს**, მინიმუმის მიხედვით, გარდა საფრანგეთის ვალის გადმოპირებისა, უნდა ჩამოერთვას პოლონეთი, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გახდება და რომელსაც მეფედ ეყოლება ერთ-ერთი გერმანელი პრინცი. რუსეთს „სამაგიეროდ“ მიეცემა გაშლილ ზღვისაკენ გასავალი, სახელდობრ სპარსეთის ყურე. მაქსიმუმი უფრო დაწვრილებით იხსენიებს რუსეთს: იგი ითხოვს ა) რუსეთმა უნდა თავი დაანებოს იმ განაპირა მხარეებს, სადაც რუსები არ მკვიდრობენო; ბ) გერმანეთმა უნდა შემოიერთოს ბალტიკის ზღვის გვერდით მდებარე ოლქები; გ) რუსის ქვეშევრდომ გერმანელთ უფლება უნდა მიეცესთ რუსეთიდან გადასახლდნენ და მათ აგრეთვე უნდა აუნაზღაურონ ყოველივე, რაც იზარალეს ომის დროს; დ) პოლონეთის საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, რომ გერმანეთის საზღვარი აღმოსავლეთით უშიშარი შეიქმნესო.

ყველა მოწინააღმდეგეთაგან საზოგადოთ მაქსიმალისტები ითხოვენ, რომ გერმანეთს დიდი, ერთად თავმოყრილი კოლონიები მიეცეს, მაგალითად, აფრიკაში და უზრუნველ იქმნას გერმანელთა ვაჭრობის უფლება მოწინააღმდეგეთა სახელმწიფოებში.

ეს მაქსიმუმ-მინიმუმი ერთის წლის წინათ არის გამოქვეყნებული; მასუკან თანახმად ახალ სამხედრო და საერთაშორისო მდგომარეობისა, გერმანელებს ახალი სურვილები დაებადათ, როგორიცაა, მაგალითად, ლიტვის აღდგენა, სამხრეთ სლავურ სახელმწიფოს შექმნა, ხელში ჩაგდება დუნაისა, შავი ზღვის და მის სრუტეების ნეიტრალიზაცია და სხვა...

სახელდობრ, რომელი პირობები იქმნება წამოყენებული საზავო კონფერენციაზედ—მაქსიმუმი თუ მინიმუმი, სავსებით სამხედრო მდგომარეობაზედ იქმნება დამოკიდებული... ამ ჟამად გერმანეთი რომ უფრო მაქსიმალისტობს, ეს ცხადია. არ ვიცით ჯერ გერმანეთის მოკავშირეთა, კერძოდ ოსმალეთის, პირობები...

ახალი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ის ცნობები, რომელთაც გუშინდელი ოფიციალი დეპეშა გადმოგვცემს, ნათლად მოწმობენ ადრევე ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას შესახებ იმისა, რომ რუმინეთის ასპარეზზე ახლა ახალი ოპერაცია დაიწყო, რომელსაც დიდი შედეგი უნდა მოჰყვეს ორივე მოპირდაპირესათვისო. მთელ მოლდავეთის ბრძოლის ველი საშინელ ცეცხლის ალშია გახვეული და მოპირდაპირე გაშმაგებულ იერიშებს აწარმოებს სტრატეგიულად საყურადღებო მიდამოებში. მდ. ოიტუზის მიდამოს ახლა ქ. ფოქშერის მედ მოც დაერთო. უკანასკნელს მოპირდაპირე ჩვეულებრივის მანევრებით სამსავე მხრიდან უვლის და მის აღებას ერთის დაკვრით ლამობს. მოპირდაპირე ახლა 20 ვერსის სიშორეზედ იმყოფება ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. სამხრეთ-დასავლეთითაც მათ იერიშები მიაქვთ და სცდილობენ, რაც კი შეიძლება დროზე ზურგიდგან გადუჭრან გზები. უფრო სამხრეთით, ბრაილოვის მიმართულებით, ბუზეო-ბრაილოვის რკინის გზის მიდამოში სოფ. ვერდესთან იერიშები მიაქვს. ეს რკინის გზა ახლა უკვე გადაჭრილია და რუს-რუმინელთა ჯარიც იძულებული იქნება ბრაილოვის ჩრდილოეთით დაიხიოს.

უფრო აღსანიშნავია მდ. ოიტუზის და დოფტიანის მიდამოებში მოპირდაპირის მოქმედება. აქ მათ რამოდენიმე სიმაღლე აუღიათ; მასთანვე, მაშველი ჯარებიც მოსვლიათ და იერიშებს იერიშებზე აწარმოებენ. მაშველ ჯარების მოსვლას თვით ოფიციალი დეპეშა ადასტურებს. ეს ცნობა თავისთავად ამოწმებს მტრის განზრახვას. ცხადია, სწორედ აქა სურთ გერმანელთ მდ. სერეტზე გამოსვლა და აღმოსავლეთისაკენ გაჭრა. ფოქშერის ველი თავისით მნიშვნელობას დაჰკარგავს, თუ კი მოპირდაპირე დროზე შესძლებს მოლდავეთის ველში ჩამოსვლას და ფოქშერ-ბეჩევის რკინის გზის გადაჭრას.

დობრუჯაში გენ. ტოშევის არმიას მძიმე არტილერიის დახმარებით ხელთ უგდია ერთი სიმაღლე თვით ბრძოლის ხაზის ცენტრში, რომელიც იწყება სოფ. გრეშიდან და მიდის ისაკჩასკენ. ასეთი გაბედული მანევრი მომასწავებელია იმისა, რომ მტერი ლამობს ბრძოლის ხაზის გარღვევას; დობრუჯის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კუთხის დაპყრობა ძალიან ხელსაყრელი იქნება მოპირდაპირესათვის. რაკი იგი აქაც მდ. დუნაის მარჯვენა ნაპირებს დაეპატრონება, მაშინაც, გინდაც რომ მდინარე ვერ გადალახოს, არტილერიის საშუალებით სრულებით მოსწყვეტს ბრძოლის ველს არა მარტო ბრაილოვს, არამედ გალაცსაც. გალაცი რკინის გზების კვანძია და ასეთ საყურადღებო ხაზის დატოვება, დიდ გავლენას იქონიებს ბრძოლის ასპარეზზე.

X.

## ომის დეპეშები

18 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. კოლდიჩევოს ტბის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა მტრის სადარაჯოზე იერიში მიიტანეს და ტყვებიც წამოიყვანეს. ოგინის არხზე, ნოვინკას სამხრეთით, მზვერავთა ჯგუფმა გერმანელ აფიცერთა სადარაჯოზე იერიში მიიტანა. ხიშტებით შეჯახების მერე მტერი გაიქცა; ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დაჭრილები. სბოროვის დასავლეთით, სოფ. პრისოვცეს დასავლეთით მდებარე ხრამში ზარბაზნის სროლით გავფანტეთ მტრის 3 როტა. მდ. ბისტრიცაზე სოფ. პაციკოვის მიდამოებში მტრის წინ წამოწეულ სანგარზე იერიში მივიტანეთ, შიგ მყოფთაგან ზოგი დავხოცეთ, ზოგი დავატყვევეთ. მათ შორის დაჭრილი აფიცრებიცაა. სოფ. რიბნოს სამხრეთით ჩვენი ზარბაზნები მარჯვედ უშენდნენ მტრის ბატარეიას. მოლდავიის მიჯნაზე, მდ. ოიტუზის ჩრდილოეთ და სამხრეთით მდებარე ველებში მოპირდაპირეს დაჟინებული იერიშები მოჰქონდა ჩვენს სანგრებზე. განმეორებითი იერიშებით მან მოახერხა რამდენიმე მაღლობის აღება და ჩვენი ჯარის დახევა აღმოსავლეთისაკენ. ჩვენი ჯარი ახალ ადგილებზე მაგრდება სოფ. სერჟას ჩრდილოეთით და სოფ. სესმეზოს აღმოსავლეთით და დასავლეთით.

**კავკასიის ასპარეზზე** ცვლილება არ მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. კასინის ზემო ნაწილში, მოლდავიის მიჯნაზე, სოვეჯის დასავლეთით მდ. სუშიცას სათავეში და მდ. პუტნას დასწვრივ, ს. სოსას დასავლეთით მტერს მედგარი იერიშები მოაქვს. რიმნიკ-სერატის ჩრდილო აღმოსავლეთით, მოპირდაპირე ძლიერის ჯარით, მძიმე და მსუბუქ ზარბაზნების დახმარებით მედგრად აწვება რუმინელებს, განსაკუთრებით რკინის გზის გასწვრივ. მან მოახერხა სოფ. ბორდესჩინის აღება მდ. რიმნაზე და ჩვენს ჯარს სოფ. ბალეჩისთან, რიმნიკ-სერატის ჩრდილო-აღმოსავლეთით 15 ვერსზე უკან დაახევინა. მდ. დუნაის სამხრეთით მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზიანიც მივაყენეთ. დობრუჯაში სროლაა.

19 ქრისტეშობისთვე

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ზბოროვის ჩრდილო-დასავლეთით პრისოვცეს მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა იერიში მიიტანეს მტრის სადარაჯოზე, ნაწილი დახოცეს, ნაწილი ტყვედ წამოიყვანეს. კონიუშკის დასავლეთმიდამოებში მტრის სადარაჯოს ზურგიდან მოექცნენ, მათ თხრილებში შეიჭრნენ და 9 კაცი დაატყვევეს. მოლდავიის საზღვრებთან ზარბაზნების დაშენის შემდეგ მოპირდაპირემ მედგარი იერიშები მოიტანა მდ. სულტას ველში და მის სამხრეთით. იერიშები მოვიგერიეთ სროლით და სამაგიერო იერიშებით. მდ. დოფტიანის ჩრდილოეთ მიდამოებში და მდ. ოიტუზის სამხრეთით მდებარე ველში ცხარე ბრძოლა გრძელდება. მოპირდაპირეს აქ მაშველი ჯარი მოუვიდა, მან განმეორებით იერიშები მოიტანა და მდ. ოიტუზის სამხრეთით მდებარე რამდენიმე მაღლობი ხელთ იგდო და იძულებული გვყო ახალ პოზიციებზე გადავსულიყავით. 14 ქრისტეშობისთვეს ამავე მიდამოებში ჰაერში ბრძოლაც მოხდა. ჩვენმა მფრინავმა პრაპ. პეტროჟეცკიმ მეთვალყურე პრაპ. ბარტოშის დახმარებით ჩამოაგდო მტრის ერთი საფრენი, რომელიც მდ. სლონიკის ველში დაეცა. მფრინავები დავატყვევეთ.

**კავკასიის ასპარეზზე** არსებითი არაფერი მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. კასინის ზემო ნაწილში მოპირდაპირე მედგარ იერიშებს განაგრძობს, მოლდავიის მიჯნებთან; რუმინელები იერიშებს იგერიებენ. სოვეჯის ჩრდილო-დასავლეთ მიდამოებში, სუშისცეს ზემო მდინარეობასთან, რუმინელებმა მტერს შეუტიეს და ხელთ იგდეს ბევრი ტყვეები და ტყვიისმფრქვეველთა რაზმი. მოპირდაპირემ დილიდანვე დაიწყო შემოტევა სოფ. კოსასთან, რუმინელთა ბრძოლის ხაზზე, მდ. პუტნას ზემო მდინარეობასთან. აქ მაღლობები ხელიდან ხელში გადადიოდა და ბოლოს მოპირდაპირის ხელში დარჩა. ფოქშანის სამხრეთ-დასავლეთით, 20 ვერსზე, ს. ბოდესჩისთან, და ფოქშანის ჩრდილოეთით მტერი იერიშების მოტანას განაგრძობს. ჩვენმა და რუმინელების ჯარმა იერიშით განდევნა მტერი სოფ. ბორდესჩიდან, რომელიც წინა დღით მოპირდაპირემ აიღო; მტერმა განმეორებით იერიშებით მოახერხა რუმინელების უკან დახევა ბუზეო ფოქშანის რკინის გზის ჩრდილო-დასავლეთის მიდამოებში. ამავე გზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ. სლობოძეისთან რამდენიმე იერიშის შემდეგ მოპირდაპირემ უკან დაახევინა ერთ ერთ ჩვენი პოლკის ნაწილს, მაგრამ ვაჟკაცურის შეტევით თხრილები ისევ დავიბრუნეთ. ბუზეო-ბრაილოვის რკინის გზის მიდამოებში სოფ. ბორდეავერდეთან, ამავე გზაზე მდებარე ს. სტიანკის სამხრეთით მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. კაზაკთა პოლკის ერთი ასეულის უფროსმა ს. ბორდესჩი-ოტრანკას სამხრეთ-დასავლეთით იერიში მიიტანა, 30 აკუწა, 35 ავსტრიელი ტყვედ წამოიყვანა. დღეს, ცხარე ბრძოლის დროს, მოჰკლეს რუმინელთა ერთი ქვეითა პოლკის უფროსი პოდპოლკოვნიკი ბოტეზი, ხოლო მეორე პოლკის უფროსი მაიორი ჯარინსი დაჭრილი, ჭრილობის შეხვევის მერე, ბრძოლის ველზედვე დაბრუნდა და მტრის იერიში მარჯვედ მოიგერია.

დობრუჯაში მძიმე და მსუბუქ ზარბაზნების დახმარებით მტერმა ძლიერის ჯარით შემოგვიტია სოფ. გრეჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით 4 ვერსზე. ბრაილოვის სამხრეთ აღმოსავლეთით 20 ვერსზე მოპირდაპირემ სამჯერ მოიტანა იერიში. ორი იერიში მოვიგერიეთ და დიდი ზიანიც მივაყენეთ, მესამე იერიშით კი მედგარი ბრძოლის შემდეგ მტერმა მოახერხა ჩვენი ბრძოლის ხაზის შუაგულში მაღლობის აღება.

18 ქრისტეშობისთვე

**ოდესა.** ბრაილოვიდან მოსულთა გადმოცემით, ბოლო ხანებში ძრიელ გახშირდა მფრინავთა თავდასხმა. გერმანელ-ბულგარელნი უშენენ ჰაეროპლანებიდან ქალაქს ყუმბარებს. ხალხი გარბის და მრავალნი, რადგან სხვა საშუალება არა აქვთ, ილტვიან იალქნიან ნავებით.

**სტოკჰოლმი.** დანიის, შვეციის და ნორვეგიის მთავრობებმა გადასცეს მეომარ სახელმწიფოებს ერთად შემუშავებული ნოტა შემდეგი შინაარსისა: „სკანდინავიის სამი მთავრობა თანახმად ვილსონის წინადადებისა, რომელიც მიმართულია მკვიდრ ზავის ჩამოგდებაზე, თავის თავს მოვალედა სთვლის ხელი შეუწყოს დამღუპველი სისხლის ღვრის შეწყვეტას და მოუხმობს მეომარ სახელმწიფოებს ზავისაკენ; ამასთანავე გამოსთქვამენ იმედს, რომ ვილსონის ნაბიჯი უშედეგოდ არ ჩაივლის“.

**ოდესა.** ჩვენმა წყალქვეშამ ჩასძირა ბოსფორის პირად დიდი სატრანსპორტო გემი ოსმალთა, რომელიც საკრეისერო დანიშნულებას ასრულებდა.

**პეტროგრადი.** სახელმწიფო საბჭოს წევრი, სასახლის ობერ-კამერგერი შტიურმერი დანიშნულ იქმნა საგარეო სამინისტროს უწყებაში ზემოხსენებულ თანამდებობათა შენარჩუნებით.

19 ქრისტეშობისთვე.

**პარიზი.** საზღვაო სამინისტრო იტყობინება: 14 ქრისტეშობისთვეს ხმელთაშუაზღვაში წყალქვეშამ დაჰღუპა ჯავსნოსანი „გოლუა“, რომელიც ნახევარ საათში ჩაიძირა.

**სტოკჰოლმი.** ბუდაპეშტიდან იტყობინებიან: დღეს ტრადიციულის ზეიმით დააგვირგვინეს მეფე და დედოფალი. მეფემ ძველის ჩვეულებისამებრ ოთხივე კუთხეს წმ. სტეფანის ხმლის მოქნევით ჯვარი გამოსახა.

**პარიზი.** ოფიც. ცნობა მახლობელ აღმოსავლეთისა. მონასტირის მიდამოებში ცხარე ბრძოლაა.

**ტოკიო.** ჩიფუსთან დაიღუპა იაპონიის გემი „ხანკაკუმარუ“. დაიხრჩო 300 კაცი. 65 გადარჩა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### რუმინეთი.

**გერმანეთის დაპურება.**

„ტაიმს“-ი რვა ქრისტეშობისთვის თარიღით სწერს: გერმანეთს რუმინეთში ხორბლეულის აუარებელი ბეღლები დარჩა. ეს საშუალებას მისცემს ომი კვლავ გააჭიანუროს და დამარცხების მოახლოვება ცოტახნობით კიდევ გადასდოსო.

**გალაცის დაცლა.**

„დენ“-ი გადმოგვცემს: ოდესაში მისულ რუმინელ ლტოლვილთა სიტყვით, რა წამს გალაცამდე მოაღწია მძიმე ზარბაზნების ქუხილმა, დაწესებულებანი და მცხოვრებნი მყის აიბარგნენ. ბევრმა ბედის ანაბარად მიატოვა სახლები, დუქნები და საწყობები. ლტოლვილნი იასის გზას ეცნენ. სამგზავრო მატარებლები, რომ ვერ იტევდა ხალხს, საქონლის მატარებლებით მიჰყავდათ.

**იასში.**

იასას იმდენი ლტოლვილი მოაწყდა, რომ ტევა არ არის. უბინობის გამო აუარებელი ხალხი შეიხიზნა კაფეებში, მაღაზიებში და საწყობებში.

**ბუქარესტის ლტოლვილნი.**

ბუქარესტის დამხობის უკანასკნელ დღეებში სადგური დღე-ღამე აურებელი ხალხით იყო გაჭედილი. ყველა ესწრაფოდა ბუქარესტიდან გაცლას. მატარებლები გაჭედილი იყო. ვაგონების სახურავებიც სავსე იყო მამაკაცებით, დედაკაცებით, ბავშვებით, თუ ბარგით. გზაში ბევრი ბავშვი გადმოვარდა და დაიღუპა. გაქანებულ მატარებლებს გზა და გზა მოპირდაპირის მფრინავები ყუმბარებს უშენდნენ.

### ამერიკა.

როგორც ეხლა ირკვევა, სანამ შეერთებულ შტატების პრეზიდენტი ვილსონი მებრძოლ სახელმწიფოებს დაზავებას ურჩევდა, შტატების „ფედერატიულმა კომიტეტმა“ (Federal Reserve Roard) მოწერილობა დაუგზავნა, თურმე, თავის ხელქვეით დაწესებულებათ, სადაც ყველას ავალებდა, არც ერთმა მათგანმა აღარ მისცეს სესხი მებრძოლ სახელმწიფოებს. ეს ფედერატიული კომიტეტი შეერთებულ შტატებში არსებულ ბანკთა უმაღლესი სამმართველოა. მისი სიტყვა კანონია. კომიტეტმა აკრძალა, თურმე, მხოლოდ გრძელვადიან სესხის გაცემა კი არა, აგრეთვე მოკლე ვადიანისაც.

ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს ზომა? ამას ადვილად მივხვდებით, თუ გავითვალისწინებთ, რომელი სახელმწიფო რამდენად არის დავალებული შეერთებულ შტატებში.

ომის დაწყებიდან 1 გიორგობისთვემდე შეერთებულ შტატებისა ჰვალთებია: ინგლისს 858,4 მილიონი დოლარი (დოლარი მშვიდობიანობის დროს 2 მანათს უდრიდა, ეხლა მეტს უდრის), საფრანგეთს—656,2 მილ. დოლ., რუსეთს 117,2 მილ. დოლ., კანადას 305 მილ. დოლ., იტალიას 25 მილ. დოლარი, გერმანეთს 20 მილ. დოლ. სულ მებრძოლ სახელმწიფოების ვალი 1.981,8 მილიონ დოლარს უდრის. ამ ვალიდან გასტუმრებული აქვთ 156,4 მილ. დოლ., ხოლო 1,825,4 მილიონი დოლარი გასანაღდებელი აქვთ.

მებრძოლ სახელმწიფოთა გარდა, შეერთებულ შტატებს უსესხებია ლათინთა ამერიკისა, ევროპის ნეიტრალ სახელმწიფოებისა და ჩინეთისათვის 156,4 მილ. დოლარი. ზემოხსენებულ თარიღის მერე ინგლისს კიდევ უსესხნია 60 მილ. გირვანქა სტერლინგი, ხოლო რუსეთს 50 მილიონი დოლარი. ესე იგი ორივე სახელმწიფოს უვალნია კიდევ 450 მილ. დოლარი.

ამ ცნობებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ შეერთებულ შტატების გადადგმული ნაბიჯი გერმანეთის მოკავშირეთა წინააღმდეგ არის მიმართული. ამას ის გარემოებაც დაუმატეთ, რომ ფედერატიულ კომიტეტის განკარგულება სწორედ მაშინ დაეგზავნა ბანკებს, როდესაც ნიუიორკში ინგლის-საფრანგეთის ახალი უდიდესი სესხი ხერხდებოდა.

ამერიკის ფასიანი ქაღალდები ევროპაში დღეს 6 მილიარდ დოლარს უდრის. მხოლოდ ინგლისში 1 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ფასიანი ქაღალდი ყოფილა.

მ. ბერნაცკის აზრით შეერთებულ შტატების ფედერატიულ კომიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯი გერმანელთა მომხრეებს უნდა მიეწეროს. პირდაპირაც ასახელებენ ვინმე პ. ვარბურგს, რომელსაც, თურმე, გერმანელების მოტრფიალეს დიდი გავლენა ჰქონია შეერთებულ შტატების მთავრობაზე.

### შუაგულ ევროპის სახელმწიფო

პარიზში სორბონის პროფესორმა ლიხტენბერჟემ ამას წინად მოხსენება წაიკითხა იმ საფრთხის თაობაზე, რასაც გერმანეთი განუმზადებს ევროპას. ლიხტენბერჟეს სიტყვით, გერმანეთს ჰსურს შეჰქმნას შუა ევროპას ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც გერმანელები „მიტელლეროპ“-ს უწოდებენ. ამ სახელმწიფოს სათავეში ბერლინი ედგება, რომელიც უმთავრესად დაეყრდნობა გერმანეთსა და ავსტრია-უნგრეთს. ამ სახელმწიფოს საზღვრები აღმოსავლეთით სპარსეთის სრუტემდე მივა და თავის ფარგალში მოაქცევს ბალკანეთსა და ოსმალეთს. მეორეს მხრივ ჰსურს გააერთიანოს ბელგია, ჰოლანდია, შვეიცარია და სკანდინავიის სახელმწიფონი. ეს არის მიზანი დღევანდელ ომისა.

მომხსენებლის აზრით, ეხლა თვითონ გერმანელებიც დარწმუნებულან, რომ ამ მიზნის მიღწევა იარაღის ძალით ვერ მოხერხდება. სამაგიეროდ გერმანელებს იმედი აქვთ, რომ თავის მიზანს მაინც მიაღწევენ მრეწველობის საშუალებით, როგორც უნდა დაბოლავდეს ომი. პროფესორი ლიხტენბერჟე სწორედ ამ საფრთხეს აქცევს უფრო ყურადღებას.

ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროსვე გერმანეთის მრეწველობამ დიდ საფრთხეში ჩააგდო საფრანგეთის ეკონომიური დამოუკიდებლობა.

გერმანიას ხელი არ აუღია თავის დიდებნის ნატვრაზე, რომ თუ იარაღით არა, თანხმობით მაინც შუაგულ სახელმწიფოთა ფარგალში მოაქციოს საფრანგეთიც. ლიხტენბერჟე ასე ათავებს მოხსენებას:

„გერმანეთის ეკონომიურ და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას იმან შეუწყო ხელი, რომ გერმანეთის მრეწველობამ მოახერხა თავისი დამზადებული საქონელი სულ უმცირეს ფასებში გამოეტანა ბაზარზე. ტეხნიკის საოცარი განვითარება ადამიანის შრომა დაზოგალა, წარმოება უსაზღვროდ გაიზარდა, მრეწველობამ დიდძალ მუშა ხელსა და მანქანებს ერთად მოუყარა თავი და შრომას ბარაქა დასდო. წინდახედულად დადებულ ხელშეკრულებათა მეოხებით შინაურ ბაზარზე ნაწარმოებთა მაზანდა არ ეცემა და ყოველივე მეტოქეობის გარეშეა დაყენებული. უცხოეთშიაც ისეთ პირობებში გააქვს საქონელი, რომ უმცირეს ფასად ხელს აძლევს საქონლის გაყიდვა. ამ გზით გერმანეთი ოცნებობს კომერციულად გათქვიფოს გერმანეთი და ავსტრია-უნგრეთი და ამითი უფრო

მეტი ძლიერება მისცეს. ასეთმა მოხერხებულად წარმოებულმა პოლიტიკამ შეიძლება ბალკანეთი, ოსმალეთი და თანამგრძნობი ნეიტრალი სახელმწიფოებიც მათს ფარგალში მოაქციოს.

„გერმანელებს მტკიცედ სწამთ, რომ რაც უნდა მოხდეს, მათი საუცხოვო ორგანიზაცია მოახერხებს საგარეო აღებ-მიცემობის საუცხოვოდ მოწყობას. გერმანელების აზრით, მათ ყოველთვის შეუძლიანთ უცხოეთის მუშტარს გაცილებით დაბალ ფასად მიაწოდონ ყოველგვარი საქონელი, რომელიმე უცხოეთის სახელმწიფოში არსებულ მაზანდასთან შედარებით. ასეთს პირობებში, ადვილად გასაგებ მიზეზის გამო, მტრებიც კი იძულებულნი იქმნებიან ჩვენს ნაწარმოებს მიეტანნენო“.

პროფესორ ლიხტენბერჟეს აზრით ამ საფრთხეს საფრანგეთმა უნდა დაუპირდაპიროს ფრანგ მრეწველთა და სოვდაგართა დარაზმვა და ტეხნიკის უაღრესი განვითარება და ბრძოლის ველის ზურგს მხარისაც, საკუთარ კერაზედაც ისეთი მედგარი ბრძოლა აწარმოვონ მტრის წინააღმდეგ, როგორც საფრანგეთის სახელოვანი ჯარი ბრძოლის ველზე იბრძვის.

## ზავის გარშემო.

### ზავის პირობები.

გაზ. „ფრანკფურტ ცაიტუნგი“ სწერს: გერმანეთის საზავო პირობებში სხვათა შორის მოთავსებულია შემდეგი პირობები: მოკავშირეებმა უნდა აღიარონ ოსმალეთი, როგორც ევროპის და აზიის დიდი სახელმწიფო და საამისო თავდებობაც უნდა მისცენ; ბულგარეთის ბატონობა უნდა აღიარონ ბალკანეთში ნახევარ კუნძულზე. ბულგარეთს უნდა შეუერთდეს მაკედონიისა, სერბეთისა და რუმინეთის ბულგარეთის ნაწილები. სერბეთის, მთაშავეთისა და ალბანეთის აღდგენა მეორე ხარისხოვან საკითხად არის გამოცხადებული. რუმინეთი და ტრანსილვანია გაერთიანდება უნგრეთის მმართველობით.

## უკანასკნელი ცნობები

**კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ვილჰელმი დასთანხმდა ვილსონს: ზავის პირობებს შეგატყობინებთ, მხოლოთ ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ უნდა იქმნეს დაცულიო.**

—

**ნიუორკის ბირჟაზე ვილსონის განცხადების შემდეგ ფასიანმა ქაღალდებმა მეტად დაიწია. 8 ქრისტეშობისთვეს გაიყიდა $1,180,000 მანეთის ფასიანი ქაღალდი.**

—

**პარიზიდან იტყობინებიან: ეგვიპტეში გამარჯვებით და ბაღდადზე ინდოეთის ჯარის გალაშქრებით ოსმალეთის ჯარს საშუალება ესპობა სალონიკის ფრონტზე გაილაშქროსო. მაგრამ, თუ გერმანეთი შესძლებს ფლორინის და მონასტირის ფრონტზე გამარჯვებას, მაშინ გერმანეთი ფლორინელ ბერძნებს მოკავშირეთა წინააღმდეგ შეაიარაღებს და მოკავშირეთ იძულებულ ჰყოფს სალონიკი დასტოვონ.**

—

**გერმანელ ებდეკთა გაზეთი ფორვერტსი სწერს: საფრანგეთისთვის დიდი სარგო იქნება, რომ ეხლავე ზავით შეჰვეკრასო. საფრანგეთის ხალხმა არც კი იცის, რომ თუ რასმე მოიგებს, ეხლა მოიგებს, თორემ შემდეგ გვიან იქნებაო.**

—

**მოკავშირეებს უილსონისთვის შეუთვლიათ: გერმანეთმა დაპყრობილი ადგილები უნდა დასტოვოს, თუ ჰსურს, რომ ზავი მკვიდრ ნიადაგზე იქმნეს ჩამოგდებულიო. შეერთებულ შტატებში გერმანელი აგენტები პროპაგანდას ეწევიან, რათა ამერიკის მცხოვრებლებმა დაბეჯითებით მოითხოვონ ზავის ჩამოგდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მუქარა შეუთვალონ, რომ სამხრის და საკვებ მასალის ამერიკიდან გატანის ნებას აღარც ერთს სახელმწიფოს აღარ მივსცემთო.**

## დეპეშები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. **იმერეთის სამღვდელოების კრებამ დაადგინა: ა) თავისი ხმა ქართლ-კახეთის სამღვდელოების ხმას შეუერთოს ავტოკეფალიის საკითხში, ბ) იშუამდგომლოს გადაყენებულ იქმნას ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ხოლმსკი, როგორც სამღვდელოების უფლებათა დამთრგუნველი ადამიანი.**

## ახალი ამბავი

### ქართული დაწესებულებანი.

✦ **წარმოდგენა.** დღეს, ქრისტეშობისთვის 20, საარტისტო საზოგადოების დარბაზში ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოთ წარმოდგენილი იქმნება „წოკოლადის პატარა გამყიდველი“, „ანუ ცუგრუმელა გოგონა.“

✦ **ცნობილ ქველმოქმედის აკ. ხოშტარიას** მეუღლემ, მინადორა ეგნატეს ასულმა, თბილისის საეპარქიო სასწავლებელს შემოსწირა ასი თუმანი.

✦ **ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** სასარგებლოდ შემოსწირეს: 1) კნ. ქეთ. ჯ. და თავ. მიხ. ამირეჯიბებმა 100 მ. და 2) თავ. ირ. ბარათაშვილმა 25 მან. კულტურის მოყვარ. საზოგადოებაში დღემდე შემოსულია აგარაკის სასარგებლოდ და ბანკში ინახება 7.552 მან. 79 კაპ.

✦ **წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების წლიური კრების გაგრძელება მოხდება დღეს, 20 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 7 საათზე, საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩა).

✦ **ქართულ სქალებო სემინარიის** ქონების გამაძლიერებლად 22 ქრისტეშობისთვეს საარტისტო საზოგადოების თეატრში გაიმართება რუსული წარმოდგენა.

### მთავრობის დაწესებულებანი.

✦ **სასურსათო საქმე.** თბილისის გუბერნიის რწმუნებულ აგრონომ გ. ა. დალაქიშვილს, რომელიც ამ ჟამად კავკავის ოლქშია გაგზავნილი თბ. გუბერნიისათვის ხორბლისა და ფქვილის შესაძენათ, შემდეგი დეპეშა გაეგზავნა მთავარ რწმუნებულ დანილევსკისაგან: „კახეთის კავშირის თავმჯდომარეს დავით ლუკაშვილს კავშირის საჭიროებისათვის ყოველთვიურად 30 ვაგონი ფქვილი დაუთმეთ, თბ. გუბერნიის ნორმიდან, თქვენის პასუხისმგებლობით, სიმინდის შეძენისა და გაგზავნის ნებას გარეშე პირთ არ ვაძლევ, რადგან თვით რწმუნებული დალაქიშვილი ადვილად შესძლებს ამ საქმეს“. ამის შემდეგ, ვისაც სიმინდი ჭირდება, მიმართოს თბ. გუბერნატორს და ის მისცემს. აგრონომი დალაქიშვილი გუბერნატორის სახელზე ყოველთვე გამოგზავნის 100000 ფუთ სიმინდს. ამ ჟამად ალაგობრივ კავკავის ოლქში სიმინდის ფასი გადაწყვეტილია, თეთრი სიმინდი 1 მანეთად და წითელი 1 მ. 5 კაპ. ფუთი.

### ქალაქის დაწესებულებანი.

✦ **ქალაქის გამგეობა და შაქარი.** ქალაქის სასურსათო ზოგიერთ დუქნებში, მაგალითად, მელევის ქუჩაზე, რამდენიმე დღეა, რაც შაქარი გამოილია, ხალხი ყოველ დღე ბლომად აწყდება, მაგრამ ხელცარიელი ბრუნდება უკან. როგორც დანამდვილებით გადმოგვცეს, ქალაქის გამგეობას შაქარი ბლომად აქვს, მაგრამ რატომღაც მოსაზრებით თავის დუქნებში არ გზავნის. ამბობენ, რომ ქალაქის გამგეობას აზრად აქვს ასეთი საშუალებით წყალობით ბევრმა ოჯახმა ხვედრი შაქარი ვერ მიიღოს მიმდინარე თვეში და დარჩენილი შაქარი თავის შეხედულებით სხვებს მისცესო.

### სომეხთა შორის.

✦ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტმა** მოაწყო სოხუმში თავშესაფარი გამოქცეულ სომეხთა შვილების მოსათავსებლად.

### სხვა და სხვა ამბები.

**შემწეობის ხინამდვილე.** როგორც მოხსენებული გვქონდა, სახელმწიფო სათათბიროს წევრის ბ-ნ ჩხენკელის მიერ შეკრებილ ცნობებზე ბათუმის ოლქში მოსახლე ლტოლვილთა გაჭირების შესახებ ექიმმა ფაშა-ბეკ სულთანოვმა ეჭვი შეიტანა, გაზვიადებულად მიიჩნია ეს ცნობები დეპუტატისა და ბათუმის საოლქო კომიტეტის სხდომაზე საჯაროდაც განაცხადა ეს. კომიტეტმა იხელმძღვანელა ამ ექიმის განცხადებით და ქ. საქვ. საზ. მთავარმა გამგეობამ ბაქოს მაჰმადიანთა საქვ. საზ. გამგეობამ უარი სთქვა 50 ათასი მანეთის დახმარებაზე, რომელსაც გაიღებდა ამ ოლქში მოსახლე ლტოლვილთ ქართველ მაჰმადიანთათვის თხოულობდა. ეხლა ქ. საზ. მთავარმა გამგეობამ ბაქოს მაჰმადიანთა საქ. საზ. გამგეობას. აცნობა რა ეს ამბავი, შეეკითხა, მართლა საჭიროა ის დახმარება, რომელსაც საოლქო კომიტეტი უწევს ბათუმის ოლქის მაჰმადიანებს და ჩვენც რომ დავეხმაროთ, მეტი ხომ არ იქნებაო.

✦ **თ. ჟორდანიას ხსოვნას.**—ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობამ თავისის განსვენებულის საპატიო წევრის, ისტორიკოსის და არქეოლოგის თევდორე დავითის ძის ჟორდანიას ხსოვნის აღსანიშნავად დაადგინა: 1. იკისროს განსვენებულის ხელთნაწერების წინასწარი აღნუსხვა და გარჩევა, რათა შემდეგ ეს ხელთნაწერები გადაეცეს (კატალოგით) სპეციალურ საზოგადოებას. 2. გამართოს 22 აპრილს, მიცვალების ნახევარ წლის თავზე, სახალხო სახლში განსვენებულის პატივსაცემად უფასო საღამო; 3. განსვენებულის სურათი ჩამოჰკიდოს საზოგადოების დარბაზში და 4. დაარსოს განსვენებულის სახელის უკვდავსაყოფად ცალკე ფონდი და სთხოვოს ყველას განსვენებულის პატივისმცემელს თავისი წვლილი გაიღოს ამ ფონდის გასაძლიერებლად.

✦ **ბინის საკითხი.** მეფის ნაცვლის განკარგულებით ბინის დამქირავებლებმა მდგმურებმა, 20 დეკემბრამდე სახლის პატრონებს უნდა განუცხადონ, რომ ისინი ბინას არ ცლიან და კვლავ აპირებენ განუახლონ ბინაზე დარჩენის პირობები. განცხადება შეიძლება ნოტარიუსის, ან პოლიციის საშვალებით ან და მოწმეების თანადასწრებით. ამ განცხადების შემდეგ სახლის პატრონი მდგმურს ვერც დაითხოვს და ვერც ბინის ქირას მოუმატებს. დღეს განცხადების უკანასკნელი დღეა.

✦ **შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** კოოპერატივ „შრომის“ თავმჯდომარის ბ-ნ ს. ქვარიანის მეცადინეობით, მეფის ნაცვლის თანაშემწემ ინფანტერიის გენერალმა ბ-ნმა იანუშკევიჩმა შეიწყნარა ბ-ნ თბილისის გუბერნატორის თხოვნა და განკარგულება მოახდინა, რომ საინტენდანტოდან დაუთმონ კოოპერატივებს „შრომა“-ს „დახმარება“-ს და „მომხმარებელს“ 15 ვაგონი სიმინდი, ქერი, ქატო და სხ.

✦ **ახალი სამიწათ-მზომელო სასწავლებლები.** მეფის ნაცვლის საბჭომ საჭიროდ დაინახა გაიხსნას ბაქოსა და ქუთაისში სამიწათ მზომელო სასწავლებლები, აგრეთვე თბილისის სამიწად-მზომელო სასწავლებლებში პარალელური კლასებიც შემოიღონ.

✦ **სქალებო საეპარქიო სასწავლებელში** საშობაოდ მოწაფეები ქრისტეშობისთვის 17 დაითხოვეს ვიდრე იანვრის 15-მდე

✦ **გენერალმა თამამშევმა** წინადადება მისცა ქალაქთა კავშირის განყოფილებას მოაწყოს ტრაპიზონში ამბულატორია, რომლის ხარჯთაღრიცხვა 15.000 მანეთს არ აღემატებოდეს თვიურად.

✦ **ხაინტენდანტომ** დაუთმო ქალაქთა კავშირის განყოფილებას 5 ვაგონი ქერი.

✦ **შემოიტანეს** თბილისში 15 და 16 ამა თვეს: ფქვილი 38 ვაგ., შაქარი 3 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., ნავთი 11 ვაგონი.

✦ **ელექტრონის სადგურები.** როგორც ვიცით, კერძო პირთა ელექტრონის სადგურები ერთობ მოუწყობელია და თავიანთ დანიშნულებას ვერ ასრულებენ. სადგურები საკმაო სინათლეს ვერ იძლევიან და, რაც უფრო ცუდია, სინათლე უდროვო დროს ქრება და აბონენტები დიდს გასაჭირში ვარდებიან. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ბ-ნმა თბილისის გუბერნატორმა და საგუბერნიო მართველობასთან დანიშნა სპეციალისტთა საგანგებო კომისია, რომელიც ჯერ უნდა გაეცნოს სადგურებს და შემდეგ სავალდებულო დადგენილება შეიმუშაოს სადგურების პატრონთათვის. ამ კომისიაში ქალაქის თვითმართველობის მხრივ შედიან ინჟინრები თავ. ლ. ნ. დიასამიძე და ბ-ნი ნალბანდიანი.

✦ **საკოოპერაციო სასადილოს** „იმედს“ აკურთხებენ 21 ამა თვეს, ხოლო მოქმედებას დაიწყებს სასადილო 22 ამა თვიდან.

✦ **ახალი კოოპერატივი.** კვირას, 18 ამა თვეს, მადათოვის კუნძულზე აკურთხეს თბილისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების მომხმარებელი საზოგადოების მაღაზია, რომელმაც იმავ დღესვე დაიწყო მოქმედება.

✦ **ყულაბებით ფულის შეკრება.** დღეს, 20 ქრისტეშობისთვეს, ყულაბებით ფულებს შეაგროვებენ ყრუ-მუნჯთა სკოლის მოსწავლეთა სასარგებლოდ.

✦ **ხელოსანთა კლუბის** უკანასკნელმა კრებამ დაადგინა, დროგამოშვებით მოაწყოს კლუბში სპეციალ ხასიათის ლექციების კითხვა, რომელნიც ხელს შეუწყობენ თბილისში ხელოსნობის განვითარებას.

### ქუთაისი

ქრისტეშობისთვის 16, დამფუძნებელი კრება იყო ქართულ სალიტერატურო წრისა. ასეთის წრის დაარსება საჭიროდ იქმნა ცნობილი და წესდების შემუშავება მიანდვეს კომისიას. კომისიაში აირჩიეს: იასონ ნიკოლაიშვილი, გუცა ფარქოსაძე, ვას. ჭითავა, იაკობ ცინცაძე და ბოჭორიშვილი.

— ქრისტეშობისთვის 20 მოხდება თეატრის სააშენებლო საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა.

— ქრისტეშობისთვის 15 სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე ლაპარაკი ჰქონდათ გუბერნიაში საშინლად გავრცელებულ საქონლის ჭირის შესახებ. დაადგინეს: ვრცელი მოხსენება წარედგინოს მეფის ნაცვალს, ეუწყოს ხალხის ზარალი და ეთხოვოს ამ ზარალის ანაზღაურება; ამასთანავე ეთხოვოს საქონლის ჭირთან საბრძოლველად ქუთაისის გუბერნიაში აქიმბეითალთა და ფერშალთა რიცხვი საკმაოთ გადიდდეს.

### ფოთი.

ფოთელები ძალიან დაიღონა ნ. ნიკოლაძის საქმის გამო სენატის განჩინებამ. ყველას იმედი ჰქონდა, რომ ნ. ნიკოლაძე უეჭველად გამართლდებოდა. ქალაქისათვის ნ. ნ. უსათუოდ დიდად საჭირო და სასარგებლო კაცია. იმისავით დაწვრილებით არავინ იცნობს ფოთის პორტის საქმეებს და მარტო იმას შეუძლია იზრუნოს და რამე გააკეთოს ამ პორტის გაფართოვებისათვის. ახლა კი არ იციან, რა მოუვა ამ პორტს.

— აქ ჩამოვიდნენ სპარსელი ვაჭრები, რომელნიც ყველაფერს ჰყიდულობენ: მარილს, რკინეულობას, პურის ფქვილს, ფეხსაცმელებს, ტანისამოსს და სხ. ადგილობრივი ვაჭრები განცვიფრებულნი არიან მათის საქციელით.

### სოხუმი.

ქალაქის საბჭომ დაადგინა სოხუმში გაიხსნას საშუალო სატეხნიკო-საკომერციო სასწავლებელი. სასწავლებლის გახსნისათვის საჭირო ნებართვის გამოტანა დაევალა ქალაქის გამგეობას.

### ზაქათალა.

მეფის ნაცვალსა სთხოვენ, რომ აქ სამეურნეო სასწავლებელი გაიხსნას.

### თელავი

თელავის შემ.-გამ. ამხანაგობა უკვე შეუდგა იაპონურ გოგირდის დასამზადებლათ საჭირო შენობის აგებას, რკ. გზის სადგურის მახლობლად, ვ. რონინაშვილის ადგილში. შენობა მინდობილი აქვს ინჟინერ ი. ლომიძეს.

— 14 ამ თვეს გაიფიცნენ მეეტლემელინეიკენი. მეტის-მეტ უხერხულ გარემოებაში ჩაცვივდნენ თბილისიდან მატარებლით მოსულნი, თითქმის ყველას ფეხით მოუხდათ ბნელ ღამეში, ამ საშინელ ლაფებში, ოთხ ვერსამდე გამოვლა, ვიდრე აქ ამოვიდოდნენ. როგორც გავიგეთ, გაფიცვის მიზეზი ის ყოფილა, რომ ქალაქის გამგეობას ნიხრი დაუდგენია, რითაც ნება არა აქვთ ლინეიკაზე აბაზზე მეტი აიღონ სულზე, ეტლზე კიდევ—ექვს შაურზე მეტი სადგურიდან თელავამდე.

— აქ ერთ მოვაჭრემ მოიტანა (თუ გამოაჩინა დამალულს ამას ვერავინ გაიგებს) ზეთი და გირ. 1 მან. 50 კ. ჰყიდის.

— აქ ყველგან გამოილია ფქვილი, მარტო შემ.-გამ. ამხანაგობას ჰქონია ცოტაოდენი და, თუ იქაც გამოილევა, სიმშილია მოსალოდნელი.

— ამ ბოლო დროს განაპირა უბნებში ძალიან გახშირდა ქათმების მოპარვა.

— არსდება ქართველ ქალთა წრე, რომელთა მიზანია რაიმე სავაჭროს გახსნით შეღავათი მისცენ ადგილობრივ ღარიბეს მცხოვრებთ. სხვათა შორის, განზრახვა აქვთ, 14 იანვარს წმ. ნინოობა დიდებულად იდღესასწაულონ.

### დონის-როსტოვი.

— ქართულ საზოგადოებამ სთხოვა პროფესორ ნ. მარს, ამ მოკლე ხანში ამ საზოგადოების სასარგებლოდ წაიკითხოს ლექცია. პროფესორმა თანხმობა განაცხადა. ლექციას წაიკითხავს „შოთა რუსთაველზე“.

— ვარშავის უნივერსიტეტში არსებული არჩილ ჯორჯაძის სახელობის სამეცნიერო წრე, ქართველი სტუდენტებისგან შემდგარი, ისევ შეუდგა მოქმედობას. ახლო წარსულში გაიმართა კრება, რომელზედაც გადაწყვეტილ იქმნა შეიძინონ ჩვენის ისტორიკოსების, პუბლიცისტების, ძველ და ახალ პოეტ-ბელეტრისტების და დრამატურგების თხზულებანი, რათა გაეცნონ ჩვენი ქვეყნის წარსულს და აწმყოს.

### ს. ავჭალა (თბ. მაზრა).

ავჭალის საზოგადოებამ ადგილობრივ ინტელიგენტთა მეთაურობით ძვირფასი ხატი მიართვა წასვლის დროს ქართველ ცხენოსანთა ჯარს.

— თითქმის ორი თვეა, რაც აქ გაიხსნა მომხმარებელი კოოპერატიული დუქანი. ეს დუქანი ვერ ამართლებს თურმე თავის დანიშნულებას.

— ამ დღეებში აქ გაიმართა ქართველ ინტელიგენტთა კრება, ადგილობრივის მღვდლის მეთაურობით. კრებამ თავიანთ შორის აირჩია 12 პირისაგან შემდგარი გამგეობა. ამ გამგეობამ უნდა გახსნას ავჭალაში უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო, საკვირაო სკოლა, მოაწყოს სახალხო კითხვები, სახალხო წარმოდგენები და სხვ... წიგნთ-საცავ სამკითხველოს თაობაზე კიდევაც გაგზავნეს შუამდგომლობა ქ. შ. წ. კ. გ. საზ. მთავარ გამგეობასთან.

— ადგილობრივმა მღვდელმა მ. ნიკიფორე კანდელაკმა მოიწვია ბ. კ. ჩარკვიანი ადგილობრივ მკვიდრთაგან მგალობელთა გუნდის შესადგენად და მოსამზადებლათ. ქალთა მგალობელთა გუნდი თუმცა არსებობს, მაგრამ ქალები ცოტანი არიან გუნდში.

### ჭიათურა.

ცნობილ გ. ცერცვაძის წყალობით ჩვენს ხალხს შავქვიანი ადგილები თან და თან ეცლება ხელიდან. მკვიდრები გამოდიან უცხოელნი, ცერცვაძე შუამავლობას ეწევა. რგანსა, მღვიმევსა, პერევისაში, შუქრუთსა, დარკვეთსა და აგრეთვე ითხვისშიაც დიდძალი მამულები გაყიდეს შავქვიანი გლეხებმა.

მას შემდეგ, რაც გაზეთებში ამოჰყო თავი ცერცვაძის სახელმა, გლეხები ამ უკანასკნელს ქუთაისის ნოტარიუსთან ჩაჰყავს, საქმის გასაკეთებლად, რომ იქ უფრო ადვილათ გაამეტებინოს უეც გლეხებს თავიანთი ძამულები.

### სამტრედია.

ოლქის მზრუნველის ნებართვით სამტრედიის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელთან გაიხსნა საფოსტო-სატელეგრაფო კურსები. კურსებზე მიიღებენ იმათ, ვისაც დაუმთავრებია სწავლა უმაღლეს პირველ-დაწყებით სკოლაში, მარიამის სასწავლებელში, ან აქვთ ოთხი კლასის მოწმობა საშუალო სასწავლებლისა. კურსები ორსამ თვიანია. სწავლის ფასი სამი თუმანი. კურსდამთავრებულთ ჯამაგირად ექნებათ 720-დან 900 მანეთამდე წელიწადში. თხოვნებს ღებულობს სამტრედიის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის ინსპექტორი.

## წერა-კითხვის გამავრც. საზ. წლიური კრება

17 ქრისტეშობისთვე.

კრება დაიწყო გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით საღამოს 8 საათზე. წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი. შემდეგ კრება შეუდგა საზოგადოების შესწორებულ და შევსებულ წესდების პროექტის განხილვას. განხილულ და მოწონებულ იქმნა პროექტის 16 მუხლი. განსახილველი დარჩა კიდევ 17 მუხლი. კრების გაგრძელება დანიშნულია დღეს, 20 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 7 საათზე, საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩა).

## იმერეთის სამღვდელოების კრება

(წერილი ქუთაისიდან)

იმერეთის სამღვდელოების მორიგი კრება ქ. ქუთაისში ამა დეკემბრის 16 გაიხსნა. ეს კრება სხვა ამ გვარი კრებებისაგან დიდათ განსხვავდებოდა. უწინ თუ დეპუტატები მარტო თავის „მეს“ დასტიროდენ, დღეს კი სულ სხვა სურათია. ყველანი საზოგადო აზრით და ქართულ ცხოვრებით არიან გატაცებულნი. ჩვენის მღვდელმთავრის სასიქადულოთ უნდა ვსთქვათ, რომ დეპუტატების ასეთ გამოფხიზლებას მათმა მეუფებამ დიდათ შეუწყო ხელი. კრების გახსნისთანავე ყ-დ სამღვდელო გიორგიმ ბრძანა: „რაზედაც გუშინ არ შეიძლებოდა მსჯელობა, დღეს უკვე შესაძლებელი და მოსახერხებელიაო. ამისათვის ნებას გაძლევთ შეიმუშაოთ ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო კითხვები და განსახილველად წარმოიდგინოთო. ყოვლად სამღვდელოს ნათქვამს კრების თავმჯდომარემ მამა იოანნე მარღიანმაც შესაფერისი კომენტარიები გაუკეთა და კრება აღაფრთოვანა. კრების დარბაზში ყველგან ერთნაირი გუგუნი ისმოდა: სალამი ჩვენს ძმებს, სალამი ქართველ ხალხს და საუკუნო განსვენება ახლად გარდაცვალებულ ქართველ მოღვაწეებსო. ფეხზე ადგომით საუკუნო ნეტარება უნატრეს გარდაცვალებულთ: დაუვიწყარ ეკატერინე სარაჯიშვილისას, იროდიონ ხოსიტაშვილს, ალექსანდრე ყიფშიძეს და თევდორე ჟორდანიას. შემდეგ ამისა განსახილველი კითხვების შედგენას შეუდგნენ.

პირველ კითხვად ერთხმად ჩვენის ეკლესიის ავტოკეფალობა წამოაყენეს; მეორე კითხვა იყო: არამც და არამც ქართულ საეკლესიო ბეჭდებზე ქართული წარწერა არ მოიშალოსო,

მესამე კითხვა—ნათლობის დროს უსათუოდ ქართული სახელები უწოდონ ბავშვებს, ვინაიდგან ჩვენი ძველი „აღდგომელა“, „ბასილა“, „კიკოლა“, „ფეშტვანი“ და „გარსევანი“ უფრო მორწმუნენი იყვნენ და სათნონი ღვთისათვის,

მეოთხე კითხვა—საეკლესიო საბუთები მიუცილებლათ ქართულად იქმნეს წარმოებული. ყველა ეს კითხვები თუმცა ძველია, მაგრამ დროთა ბრუნვა იმათ დღეს ახლადა ხდის. სანამდის ეს კითხვები თავის ნამდვილ კალაპოტში არ ჩადგება, ჩვენთვის ყოველთვის ახალია და მათზე სჯა და ბაასი აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია. ყველა ეს კითხვები ყ-დ სამღვდელომ მოიწონა და მათს შესახებ მსჯელობის ნება მისცა კრებას. კრება გულსმოდგინეთ შეუდგა მათს განხილვას და ვნახოთ, რას დაადგენს.

მ. ბუაჩიძე.

## სახელმწიფო სათათბიროში

საერობო და საქალაქო კავშირების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კრებების აღკრძალვის თაობაზედ გამართული კამათი დასრულდა შემდეგის ფორმულით, რომელიც ხუთი გაერთიანებული ფრაქციის სახელით შიდლოვსკი პირველმა წამოაყენა და რომელიც მიღებულ იქმნა 123 ხმით 47 წინააღმდეგ. ბლოკის ფორმულაში ნათქვამია:

„სახელმწიფო სათათბირო აღნიშნავს, რომ საქალაქო და საერობო კავშირების აკრძალვა ეწინააღმდეგება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებას, რომ ამ კავშირების მოღვაწეობა წარმოადგენს მაღალ პატრიოტიულ საქმეს, რომ ეს მოღვაწეობა ჯარისთვის აუცილებელია, რომ შეუძლებელია იგი ნორმალურად გაღვივდეს თუ მთავრობის მხრივ გზაზედ დაბრკოლება გადაეღობება, რომ ამ სახით შექმნილნი დაბრკოლებანი შინაურ უკმაყოფილებას იწვევენ და არასასურველ მიმართულებას აძლევენ; სახელმწიფო სათათბირომ სახეში მიიღო, რომ ეს კავშირები, მხარს უჭერენ საკანონმდებლო პალატებისგან მრავალ გზის წარმოთქმულ აზრებს მიმდინარე მომენტის თაობაზე და რომ ამნაირად ისინი განამტკიცებენ ზნეობრივ კავშირს სახალხო წარმომადგენლებსა და მთელ რუსეთს შორის, სახელმწიფო სათათბირო აღნიშნავს რა ყოველივე ამას, იგი სალამს უძღვნის კავშირთა მოღვაწეობას თავდაცვის საქმეში, გადაჭრით ჰკიცხავს ამ კავშირების ყრილობების აღკრძალვას და მორიგ საკითხებზე გადადის.

## წერილი რედ. მიმართ

### პასუხად „თანამედროვე აზრელებს“

ყოველს უცნაურს შეკითხვაზე ადამიანი მოვალე არ არის პასუხი გასცეს ხოლმე. იქნებ მეც დავდუმებულიყავ, რომ იძულებით არ მიხდებოდეს ხმის ამოღება „საქართველოს“ ასოთამწყობთა გამოლაშქრების გამო. უნდა განვაცხადო, რომ მე არავის არ „შევჭრივარ“. მე „შევიჭერ“ ჩემს წერილს, კორექტურულ შეცდომათა გასასწორებლად; თუ სიტყვამ მოიტანა დ ვსთქვი ის, რაც სათქმელი იყო, არც ვთაკილობ და არც ვშიშობ საქვეყნოდ გამოვაცხადო იგი. თქვენ გინებებიათ, სადღაც ვიღაცის მიერ გაზეთის დაფხრეწა აღიაროთ მორიგ „პროვაკაციად“. ასეთი საქციელი დარბაისლურ რედაქციის მხრით არა თუ უკადრისია, არამედ სძრახისიც, უფრო მეტიც: სჩანს „აზრელებს“ არ გაეგებათ, რას ნიშნავს სიტყვა „პროვოკაცია“. აი, ამის განსამარტებლად ვსთქვი, „პირში მოსულსა სიტყვასა განა ყოველთვის თქმა უნდა“-მეთქი და თანაც დავძინე: „საქართველოელნი“ არა ჩვეულან მოწინააღმდეგეთა გაზეთების ფხრეწას, მით უმეტეს, არ დაჰფხრეწენ „აზრელთა“ გაზეთს, ვინაიდან მათი თეორიები, დიდი ხანია, „ცხოვრებამ დაჰფხრიწა“ - მეთქი. ესა ვთქვი და ამ აზრისა ვარ დღესაც. ვინც რა დახიოს, იმისთვის თუ ესა და ის პროვოკატორად გამოვაცხადეთ, მაშინ რაღა ეშველებოდა, გეთაყვათ, ს.-დე -ტის პარტიას, რომელიც მოძრაობის დროს არა თუ მოწინააღმდეგეთა გაზეთებს ჰფხრეწდა, თვით ორატორებს ტრიბუნიდან აგდებდა და ენას აძრობდა. უმჯობესს ვაკხანალიის გახსენება მიმძიმს, ვგონებ, რომ თქვენც გიმძიმთ, და რომ დავსდუმდეთ, ისა სჯობიან.

დ. კასრაძე.

P. S. ყოველ შემთხვევაში გთხოვთ გამოაქვეყნოთ ვინ, სად დახია თქვენი გაზეთი, რომ თქვენი სინედრიონის ასეთი მსჯავრი დაგვიმსახურებინა?

დ. კ.

## ქართ. დრამატ. საზ. წლიური კრების გაგრძელება

18 ქრისტეშობისთვე.

კრება დაიწყო ბ-ნ გ. ჟურულის თავმჯდომარეობით და ბ-ნ ქვარიანის მდივნობით დღის 1 საათზე. წინანდელ კრების ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ, ბ-ნ **გ. გორდეზიანის** შეკითხვის გამო, თუ რა გააკეთა გამგეობამ, გამგეობის წევრმა ბ-ნ **ი. გედევანიშვილმა** მოკლეთ გაიმეორა გამგეობის მოხსენება, რომელიც წინანდელ კრებაზე ვრცლად იყო წაკითხული.

**გ. გორდეზიანი** არ დაკმაყოფილდა ბ-ნ გედევანიშვილის განმარტებით და ხელმეორედ შეეკითხა გამგეობას, თუ რა მოიმოქმედა მან თეატრისათვის მუდმივ ბინის საშოვნელად.

**ბ-ნი ი. ზურაბიშვილი** წინააღმდეგია ასეთი შეკითხვებისა. მას სავსებით აკმაყოფილებს გამგეობის მოხსენება და შეკითხვები ზედმეტად მიაჩნია, მით უფრო, რომ ასეთი შეკითხვები საქმის განორკევას სრულებით არ შველის, არამედ მხოლოდ აჭიანურებს საქმის განხილვას და კერძო პირთა თავმოყვარეობას აკმაყოფილებს.

**ბ-ნი ზარდალიშვილი** დიდს უმოქმედობას აბრალებს გამგეობას სეზონის მოწყობაში და ამტკიცებს, რომ გამგეობას თითქმის არაოდეს არ უზრუნია დროზე შეედგინა დასი სეზონისათვის. გამგეობა, მუდამ ენკენისთვე-ღვინობისთვეში შეუდგებოდა საქმეს, რომელიც მაისში უნდა გაეკეთებინა და ამის გამო საქმე არაოდეს არ იყო რიგიანად მოგვარებული. წელსაც ასეთი უმოქმედობა გამოიჩინა გამგეობამ და ამის ბრალია, რომ დასი ურეჟისოროდ დარჩა, მაშინ, როდესაც ბაქოში 2 რეჟისორია. ისედაც შეფერხებულ საქმეს ურეჟისორობა კიდევ უფრო აბრკოლებს. „ახალი კლუბი“-ს ადმინისტრაციამ დილის წარმოდგენების გასამართად კლუბის დარბაზი დაუთმო დასს, აგრეთვე სადამოობითაც ყოველ კვირაში წარმოდგენები იმართება როგორც „ახალ კლუბში“, ისე „ხარფუხის კლუბში“, მაგრამ დასს რეჟისორი კი არა ჰყავს.

**ბ-ნი რ. გაბაშვილი** დაწვრილებით შეეხო გამგეობის მოხსენებას და აღნიშნა, რომ გამგეობა სწორედ იმას აკეთებდა, რის გაკეთებაც საჭირო არ ყოფილა, ხოლო რის გაკეთებაც აუცილებლად საჭირო იყო, იმას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ორატორს, მაგალითად, ზედმეტად და სრულებით უადგილოდ მიაჩნია გამგეობის ფილიპიკა მსახიობთა მიმართ, მაშინ როდესაც იგივე გამგეობა ანტრეპრიზაზე სავსებით უარს ამბობს და ეს დიადი საგანი მისი სამოქმედო ასპარეზის გარეშედ მიაჩნია.

**ბ-ნი ხერხეულიძე** ეხება მოხსენების იმ ადგილს, საცა დრამატიულ დასის მსახიობნი არიან დახასიათებულნი და მსახიობთა უვარგისობას დამნაშავედ იგივე გამგეობა მიაჩნია. გამგეობა, ორატორის აზრით, ვალდებული იყო უვარგისი მსახიობნი არ მოეწვია და დროზე გამოენახა კარგები. გამგეობას აგრეთვე უნდა ეზრუნა უცოდინარ მსახიობთა გაწვრთნაზე, რისთვისაც საჭირო იყო დრამატიულ კურსების დაარსება. ბ-ნი ხერხეულიძე წარმოდგენას დასწრებია სახალხო სახლში, საცა ზოგიერთი მსახიობნი ჩიქორთულის ენით ლაპარაკობდნენ სცენაზე და ქართულ ენას აწამებდნენ. ამ სამწუხარო მოვლენის თავიდან აშორება, გამგეობას ადვილად შეეძლო, თუ კი მოისურვებდა, გამოცდის შემდეგ მიეღო დასში ახალი და ჯერ უცნობი მთხოვნელნი. ამბობენ, უთუოდ თეატრი უნდა ავაგოთო! რათ გვინდა, ბ-ნ ხერხეულიძის აზრით, თეატრის კედლები, თუ გინდა კარგადაც მოწყობილი, დრამატიული დასი თუ არ გვეყოლება, ეს თეატრი ხომ იმავე უვარგისმა მსახიობებმა უნდა დაიჭირონ?

**ბ-ნი ი. იმედაშვილი** უსაყვედურებს გამგეობას, რომ არ იზრუნა რაიმე მოწყობილება შეეძინა კლუბების სცენისათვის. ორატორს აკვირვებს გადაჭარბებული საყვედური მსახიობთადმი. რა უნდა ჰქნან მსახიობებმა ასეთ პირობებში, როლები შეისწავლონ, თუ სცენის მოწყობილებისათვის იზრუნონ.

**ბ-ნი ა. პაპავა.** არ ეთანხმება რ. გაბაშვილის მიერ წამოყენებულ ბრალდებას გამგეობისადმი და ამტკიცებს, რომ თეატრის დაწვაში გამგეობას ვერავითარ ბრალს ვერ დავსდებთ, რადგან სტიქიონის წინააღმდეგ გამგეობა ვერას გააწყობდაო. შეუფერებელ მსახიობთა ყოლა დასში ორატორს სამწუხარო მოვლენად მიაჩნია, მაგრამ აქ გამგეობა არაფერს შუაშია, ამისი თავი და თავი მიზეზია საერთო პირობები, რომელნიც ყოველგან და ყველაფერში სულს უხუთავს ჩვენი განვითარების საქმეს. დამნაშავენი არიან აგრეთვე თვით მსახიობნი, რომელთაც ვერ შექმნეს მტკიცე ორგანიზაცია და ვერ გამოიჩინეს უნარი თვითგანვითარებისა. ორატორი ვრცლად შეეხო ქართველ ინტელიგენციის არარაობას და განაცხადა, რომ ქართველი მსახიობი ტიპიური წარმომადგენელია ჩვენის ინტელიგენციისაო.

**ბ-ნ ა. ახმეტელის** აზრით, მთავარ საკითხად უნდა ყოფილიყო მუდმივ ბინის შეძენა სცენისათვის. იგი თუ არ არის, თუ გინდ პატარა ქოხი მაინც, ისე არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

**ბ-ნ ა. ჭუმბაძის** აზრით, ბევრს ორატორს სიმართლის გამორკვევა და საქმის გაშუქებსება როდი აინტერესებს, არამედ მოწადინებული არიან გამგეობას რაიმე ბრალი დასდვან და დამნაშავედ გამოიყვანონ. ეს ორატორები, როგორც ბ-ნ ჭუმბაძეს ჰგონია, მინაქრის მიზეზებს ერთი მეორეზე აკოწიწებენ და ამით სურთ საბრალმდებლო ოქმი შეადგინონ გამგეობის წინააღმდეგ. ორატორს განსაკუთრებით არ მოსწონს რ. გაბაშვილის ნალაპარაკევი, გამგეობის მოქმედებას ამართლებს და დრამატიულ საქმის დაქვეითების მიზეზებს ჰხედავს მთელ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბ-ნი ჭუმბაძე დარწმუნებულია, რომ ერთად ერთი უალრესი საშუალება წამხდარ საქმის გამოსაკეთებლად ის არის, რომ გამგეობა ჩამოშორდეს ანტრეპრიზას, ჩამოშორდეს იმ პირთ, რომელნიც სცენაზე თამაშობენ და თავიანთ თავს „მსახიობებს“ ეძახიან.

**ბ-ნი ირ. რამიშვილი** უთითებს ი. ბარათაშვილზედ და შ. მესხიშვილზე და აცხადებს, რომ მთელს კავკასიაში ეს ორი კაცი საუკეთესო კრიმინალისტები არიან და სხვების ვექილობა გამგეობისათვის საჭირო არ არისო.

**ბ-ნ ი. გედევანიშვილი** (გამგეობის წევრი) შეეხო წინანდელ ორატორების ნალაპარაკევს და შემდეგი განაცხადა: დასი გვიან მოვიწვიეთ მხოლოდ წლეულს, რადგან ბინა არ გვქონდა. დასის გვიან შედგენას ისიც ხელს უწყობს, რომ თბილისსა და ქუთაისს ცილობა აქვთ ერთმანეთთან და მსახიობნი ამით სარგებლობენ და დასში დროზე არ ეწერებიან, ვინც მეტ ჯამაგირს შეჰპირდება, იმასთან მიდიან. გარდა ამისა, დასის შედგენა მხოლოდ ერთ-ორ კაცს თუ შეუძლიან, თორემ სხვები ვერ ახერხებენ. ვალიკო გუნიას გარეშე დასის შედგენა არ ხერხდება, ის კი წლეულს, სამწუხაროდ, ავად გახდა. რეჟისორის დასაქირავებლად მსახიობთა კომისია გამგეობასთან ერთად მუშაობდა; მოწვეულ იქმნა რეჟისორად ბ-ნი წუწუნავა თვეში ოც თუმნად. ერთი წარმოდგენა კიდევაც გამართა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ბაქოში წაბძანდა და იქ შევიდა რეჟისორად; ჩვენთვის კი ოფიციალურად არაფერი უცნობებია ამის შესახებ. ამის გამო ჩვენ ურეჟისოროდ დავრჩით. ბ-ნი ი. ზარდალიშვილი დასის ადმინისტრატორად არის მოწვეული და მისი ხელმძღვანელობით თუ არაფერი კეთდება, გამგეობა მართლაც დამნაშავეა, რომ ასეთი კაცი მოიწვია ადმინისტრატორად. თეატრის დაწვაში თუ ბრალი გვედება, უნდა ჩამოგვახრჩოთ. ბ-ნი გაბაშვილი გვისაყვედურებს, რათ გააქირავეთ თეატრიო! რომ არ გაგვექირავებინა, იგივე გაბაშვილი საყვედურით აგვავსებდა, რატომ არ გააქირავეთო! აქ დიდს ბრალსა გვდებენ და უსაქმობას გვიკიჟინებენ, მაგრამ არც პრესაში და არც კერძოთ ჩვენთვის არავის უსწავლებია, სახელდობ, რა უნდა გაგვეკეთებინა; ჩვენ კი რაც ვიცოდით და რაც შეგვეძლო, იმას ვაკეთებდით. თეატრის დაწვის დროს ქონებაც დაგვეწვა და საზოგადოების ზარალში დამწვარ საქონლის ფასი შედის. ვალებს რომ ეს ფასი გამოვაკლოთ, აღმოჩნდება, რომ სამი მეოთხედი ვალისა გასტუმრებულია. შემდეგ ორატორმა ილაპარაკა მსახიობებზე და განაცხადა, რომ მათ შორის ბევრია დამსახურებული და ღირსეული პირიო.

**ბ-ნმა შ. მესხიშვილმა** (გამგ. წევრი) გრძელისიტყვა წარმოსთქვა გამგეობის გასამართლებლად და დაახლოებით შემდეგი განაცხადა: ნუ დაივიწყებთ იმ პირობებს, რომელშიაც გამგეობას უხდებოდა მოქმედება. თეატრის დაწვას ზოგიერთი ორატორები გამგეობას ახვევენ თავზე. ამის შესახებ ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. თეატრი დაიწვა, დასი დაიშალა, წარმოდგენების საშუალება მოგვესპო. გამგეობამ მაინც მოაგვარა საქმე, ავად თუ კარგად ბინა იშოვა. ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც ცრემლებს ღვრიდა თეატრის დაწვის დროს, დიდი გულგრილობა გამოიჩინა: გამგეობამ ორი წარმოდგენა გამართა, მაგრამ ხალხი ისე ცოტა დაესწრო, რომ ხარჯების დასაფარავად ჩვენი კასიდან დავადევით ფულები. რ. გაბაშვილი გვისაყვედურებს, რომ ოპერეტკას მიაქირავეთ თეატრიო, იმან იგი დასწვა და ჩვენი ნიჭიერი მსახიობები გადაიბირაო. ეს ისეთი ბრალდებაა, რომ არ ვიცი, როგორ ვუპასუხო. ბ-ნმა გაბაშვილმა ვითომ გააკრიტიკა გამგეობის მოქმედება, მაგრამ საქმის გასაუმჯობესებლად კონკრეტულად ვერავითარ საშუალებაზე ვერ მიგვითითა. გაბაშვილის მიერ მოცემული წინადადება, რომ აღდგენილ იქმნას თეატრი, დაარსდეს მუდმივი დასი და თეატრის მოწყობილობა შევიძინოთ, მხოლოდ კეთილი სურვილებია და მეტი არაფერი. გაბაშვილს უნდა ეჩვენებინა, თუ რა საშუალებით განვახორციელოთ ყოველივე ეს, თორემ სურვილების გამოთქმა ჩვენ მეტიც შეგვიძლიან. ბ-ნმა ხერხეულიძემ ბძანა: მსახიობები ჯერ უნდა გამოსცადოთ და მერმეთ ჩარიცხოთ დასშიო. ხერხეულიძის რჩევას რომ აჰყვეთ და ასე გავცხრილოთ მსახიობნი, ძალიან ცოტა მსახიობი შეგვრჩება ხელში. მაგრამ მე არ ვამტყუნებ მსახიობებს; ნაკლები ღირებულება საზოგადო მიზეზების ბრალია. სავარჯიშო კურსები ჩვენ გვქონდა, მაგრამ ჩვენმა მსახიობებმა იგი ვერ გამოიყენეს და დაიკეტა. მართალია ბ-ნი ახმეტელი, რომ სანამ თეატრი არ გვექნება, არაფერი გაკეთდებაო. მსახიობებმა რა უნდა გააწყონ, როცა ბინა არ აქვთ სარეპეტიციოდ, ბიბლიოთეკა არ არის და ჩვენ ფული არა გვაქვს, რომ რამე შევიძინოთ. თუ ისეთ რამეზე მიგვითითებთ, რომლის გაკეთება შეეძლო გამგეობას, მაგრამ არ გააკეთა, ჩვენ თითს მოვლუნავთ.

ზოგიერთი წევრები აცხადებენ, რომ საკითხი გამორკვეულიაო და კამათის შეწყვეტას თხოულობენ.

რამდენიმე წინადადებათა შორის კრებამ ხმის უმეტესობით შეიწყნარა თავმჯდომარის **ბ-ნ გ. ჟურულის** შემდეგი წინადადება: „კრებამ, მოისმინარა გამგეობის განმარტება თავისს წარსულ მოქმედების შესახებ, დაკმაყოფილდა ამით და გადადის იმ წინადადებაზე, რომელნიც აღნიშნულია მოხსენების მეორე ნაწილში“.

კრება დაიშალა საღამოს $4^1/_2$ საათზე. კრების გაგრძელება შემდეგ მოხდება. გადასაწყვეტია საკითხები, თუ რა ღონისძიებით უნდა გაკეთდეს სათეატრო საქმეები.

## წერილი გორიდან

ხუთშაბათს, 15 ამ თვეს, ქალაქ გორში მოხდა „წვრილ კრედიტთა“ წარმომადგენელთა კრება. კრება მოწვეული იყო გორის ამხანაგობის ინიციატორობით საგუბერნიო კავშირის დაარსების შესახებ. დაესწრნენ გორის მაზრაში მომქმედ ამხანაგობათა წარმომადგენელნი, სამი წარმომადგენელი თბილისის მაზრისა, 1 დუშეთისა და ერთიც კახეთისა. თავმჯდომარეობდა კ. პ. კანდელაკი. გორის ამხანაგობის გამგეობის წევრმა დ. ონიაშვილმა გახსნა კრება და გააცნო დამსწრენი საკითხის ისტორიას. წვრილი კრედიტის ინსპექტორმა ბ. ან. გრიგოლიამ წაიკითხა დასაბუთებული მოხსენება გუბერნიაში წვრილ კრედიტთა ამხანაგობათა ფინანსიური და საორგანიზაციო მდგომარეობის შესახებ. ამ მდგომარეობის მიხედვით, მომხსენებელი მომხრე იყო დაარსებულიყო კავშირი თბილისის გუბერნიისა კახეთის გამოკლებით, სადაც უკვე არსებობს ასეთი კავშირი. სწორედ ეს კითხვა გადაიქცა კრების უმთავრეს ბჭობის საგნად. კავშირის წინააღმდეგი არავინ იყო, მხოლოდ ერთნი უკქეროდნენ საგუბერნიო კავშირს, როგორც კავშირთა კავშირის. მესამე ეტაპს — სარაიონო კავშირების შემაერთებელს; მეორენი კი სარაიონო ორგანიზაციებს მეტათ სთვლიდენ და პირდაპირ საგუბერნიო კავშირის დაარსებას იცავდენ. უკანასკნელი უპირატესობას აძლევდენ თავიანთ აზრს ფინანსიური მოსაზრებით. მათი აზრით, ასეთი კავშირი გავლენიანი იქმნება, მოიპოვებს ნდობას და საჭირო თანხებს ადვილად იშოვის, ადვილათვე უპოვის სარბიელს თავისუფალს თანხებს სამოქმედო ასპარეზის ზოგიერთ ადგილებში; გარდა ამისა, მათის აზრით, ისეთი ღარიბნი ვართ კოოპერატივ მოღვაწეებით, რომ მრავალი სარაიონო ერთეულებისათვის სრულიად არ გვეყოლება შესაფერი მოღვაწენიო.

მეორენი ასეთს გზას ძნელ გზად სთვლიდნენ. ისინი მოითხოვდენ ბუნებრივ გზის გაგრძელებას. არსებული ადგილობრივი ამხანაგობანი, მათის აზრით, უნდა შეერთდენ ბუნებრივ ეკონომიურ-სამეურნეო კავშირებში და, ასე გამაგრებულნი, შეერთდნენ ბოლოს კავშირთა კავშირში, რომელშიაც წევრად კახეთის კავშირიც შევა და ამგვარად სასურველი მთლიანობა დამყარდება. მათის აზრით, ეს გზა სასურველია, რადგან იგი აამუშავებს ადგილობრივ თვითმოქმედებას, აღზრდის საჭირო მუშაკთ, განამტკიცებს ეროვნულს ელემენტს და, ადგილობრივად გაძლიერებულნი, უფრო ძლიერს მტკიცე ფინანსიურ-ეროვნულ დაწესებულებას შეჰქმნიან

გავიდა საკომპრომისო წინადადება (დ. ყ. ჩხეიძისა) — დაარსდეს ქართლის კავშირი თბილისის გუბერნიის ექვს მაზრაში (კახეთის გამონაკლისით), გამგეობა ამ კავშირს თბილისში ეყოლება.

კრებამ დაასახელა დამფუძნებელი ამხანაგობანიც და ნაშუადამევს შესწყვიტა თათბირი. ერთ აღსანიშნავ მოვლენას ჰქონდა ადგილი. აშკარა ხდება, თუ საქმიანობის ზრდით როგორ იზრდება ქართველი მოღვაწე კულტურულად. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა კამათი (ხშირად ცხარე) პრინციპიალურ ფარგლებს არ გასცილებია. სუფევდა იშვიათი პატივისცემა, კეთილშობილური მოპყრობა მოწინააღმდეგეთადმი.

მოკეთე.

## დაბა-სოფლები

**ხევი** (საქართველოს სამხედრო გზა). აქაურმა ვაჭრებმა ცეცხლი მოუკიდეს ყველაფერს: სკოლის მოწაფეებს კალამში ერთს აბაზსართმევენ, $^1/_8$ გირვ. თამბაქოში მოყალიბე კაცს 6 შაურს ახდევინებენ, კოლოფი ასანთი აბაზათ გახადეს, გირვანქა ნავთიც აბაზად არის და ფარჩა ხომ ორშაურიანი ჩითი ანუ მიტკალი 60—70 კაპ. აიყვანეს.

ვის არ მოეხსენება, რომ ხევი ისეთი ალაგი არის, რომ ტყე არ გააჩნია, ვისაც ცხენ-ურემი ჰყავს, იმას 70 ვერსის მანძილით შეშა მოაქვს და თავათაც ხმარობს და უცხენ-უხარო ოჯახებსაც აჭერის. წინეთ ამათ 4 მანეთად ყოველთვის გაუყიდნიათ ურემი შეშა, ეხლა კი ომიანობამ ერთი ურემი შეშა 12—14 მანეთამდინ აიყვანა. ახლა ამას დაერთო ზედ კიდევ გუდაურის კომენდანტი, რომელიც ანანურით წამოღებულს შეშიანს ურმებს ხვდება და ძალათ ართმევს, კომანდისათვის გვინდაო. ნეტავი ვიცოდეთ მაინც, შეუძლიან ამ ვაჟბატონს სხვის საკუთრების მიჩემება?

ამ ყველა ჭირ-ვარამს ახლა კიდევ დაემატა ყაზბეგის კამენდანტი, რომელიც მრისხანე ოფიციალურის წერილით მამასახლისს სწერავს: ამ წამს წარმოადგინე 16 ურემი, რომლებმაც ბალთიდან შეშა უნდა ზიდონ ჩემის კამანდისათვისო. თუ არ შეასრულე, სასტიკათ დაისჯებიო. ბალთამდე 33 ვერსია. ან უეცრივ სად იშოვოს მამასახლისმა ცხენები? იმავე დროს ოფიციალური მოწერილობაა ცხენების მობილიზაციის შესახებ და თან იმუქრებიან, უკეთუ ცხენი ვინმემ დამალა, სასტიკათ დაისჯებითო. ეს ყველა ასე არის, მაგრამ რა ქნას უცხენოთა და უურმოთ იმ ხალხმა, რომელსაც 70 ვერსის მანძილით შეშა აქვს საზიდი? უშეშოთ არსებობა, ნამეტურათ ზამთარში, ყველამ უწყის, არ შეიძლება. არ ვიცით, ვის შევჩივლოთ ჩვენი დარდი.

კალმის-წვერა.

## წერილი რედ. მიმართ

**პასუხი ბ. სარჯველაძეს**

სამედიატორო სამართალსა თხოულობთ.

თანახმა გახლავართ მხოლოდ ეხლა, და ამ სამი კვირის განმავლობაში კი არა, როგორც თქვენა სწერთ, რადგან სამსახურის გამო თებერვლის გასვლამდე არ მეცლება, არამედ დიდმარხვაში. და თუ მაინც და მაინც არ დაგიშლიათ, ჩემს მედიატორებსაც მაშინ დაგისახელებთ.

დასასრულ, სახასიათო წვრილმანი: მიბრძანებთ, რომ სამედიატორო სამართალი უსათუოდ ქიათურაში უნდა გადაიჭრასო. რატომ? ეს რა დაძალებაა. ჯარიმის რაოდენობაც სასაცილო და გასაკვირია. რაც უნდა მცირე იყოს, შავქვიან ადგილზე გაქვთ დავა და 25 მ. კი ნიშნავთ. ესეც რატომ? მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ამას ყოველივეს გაკვრით ვიხსენიებ. თუ ჩვენი სასამართლო შესდგება, ამასაც გამოვასწორებთ.

შალვა დადიანი.


### შემოწირულება

ქართველ ქალთა საქველმოქ. საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლის გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს ძმათა ნიკოლოზ და მიხელ გრიგოლის ძეთა სესიაშვილებს, რომელთაც შემოსწირეს ოც-ოცი მანეთი ჭრა-კერვის სკოლის მომავალ შენობისათვის.



რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო ჩანჩიაშვილი**



### ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | სად. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | სად. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | სად. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | სად. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | სად. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | სად. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | სად. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | სად. |
| თელავიდან | | № 3, . 6 | „ 24 „ | სად. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

### სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „**გონოზანით**“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს** ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 **отд. 3.** მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეფავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

### საუკეთესო, თავანკარა კახური ღვინო

მოიკითხეთ სარდაფში

## „ზვარი“

პატივისცემით ე. ნ. ეგოროვი და ნ. ფ. გაფაშვილი.

**თბილისი:** ცერკოვნი ქუჩა № 1 (ვორონცოვის ძეგლიდან მიხეილის ქუჩის პირველ მისახვევში, მარჯვნივ).

(თგ.)

### ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესობრივი უძლურება!

**ვურჩევთ** ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად **უძლურია** — შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები **მოლეციტინი** (დასალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— **მოლეციტინი** საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასტენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინააღმდეგ.

— **მოლეციტინი** მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— **მოლეციტინი** უვნებელი საშუალებაა და ჰრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— **მოლეციტინი** მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.

— **მოლეციტინი** სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვევნას.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე.

— **მოლეციტინი** ჰრგებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს აგრეთვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავბრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.

— **მოლეციტინი** ჰშველის ორსულობის დროს, სპობს უგუნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზედ.

— **მოლეციტინი** მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.

— **მოლეციტინი** ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.

— **მოლეციტინი** ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლიან დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

**თითო კოლოფის ფასი 3 მან.** სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5-დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **რ. ი. შმიდტთან.** Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თხინვალის ქუჩა № 12. მე-2 საპ. უბანი გოლოვინის პროსპ. მამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

### თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზეით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „**მუშოჩნი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ **გვაქვს** ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, **ფარგა და** ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და **სარდინკები** რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „[illegible]“ [illegible], გაზეთის შესახვევი № 4.